გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

მპს „გეოპლანტ პლიუს" დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე გეგმავს ნუშის ბაღების გაშენებას. ნუშის ბაღისთვის უმნიშვნელოვანესია მორწყვის ეფექტური სისტემის გამოყენება. სწორედ ამიტომ, კომპანია გეგმავს პროექტის ფარგლებში მოაწყოს ისრაელის წარმოების წვეთოვანი სამელიორაციო სისტემა, რომლის წყლით მომარაგება განხორციელდება, კომპანიის საკუთრებაში არსებული რეზერვუარებით (ჯამური მოცულობით დაახლოებით 26 000 მ³).

ვინაიდან, ზემოაღნიშნული წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტით და მე-9 პუნქტის 9.9 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობებს და აღნიშნულ საქმიანობებზე, სააგენტო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზმ-ის საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ნუშის ბაღების მეურნეობის სარწყავი სისტემით უზრუნველყოფის მიზნით მომზადებულ იქნა სკრინინგის განაცხადი.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტაცია და გასცეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი - სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია, Shp ფაილები.

გარემოს ეროვნული სააგენტო
„09" 12 2022
№ 7222

პატივისცემით,

მპს „გეოპლან პლიუს"-ის დირექტორი

გიორგი მხეიძე

09.12.2022